ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3165578

ნომერი: AR1486185

თარიღი : 14.03.2017

გაცემის თარიღი : 23.03.2017

გაცნობის თარიღი : 23.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო ალექსიძე პ/ნ 01023005908
- თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 6

ორგანიზაცია:
- შპს "ალდა ჯგუფი" კოდი: 405104943

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.02.2017წ. №3085622 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14.03.2017 წლის №AR1486185 განაცხადით მომართა კარლო ალექსიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 08.02.2017წ. №3085622 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08.02.2017 წ. №3085622 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შპს "ალდა ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.72.14.036.211) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 08.02.2017 წ. №3085622 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას და შემდეგი მონაცემების დაფიქსირებას: ავტოსადგომების ფართობი - 850.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 820.30 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 284.9 კვ.მ-ის ნაცვლად - 314.8 კვ.მ. ასევე მოთხოვნილია -3.300 ნიშნულის გეგმის, წინამდებარე განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის გეგმით ჩანაცვლება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.02.2017წ. №3085622 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომების ფართობი - 820.30 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 314.8 კვ.მ. ასევე -3.300 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს, 14.03.2017 წლის №AR1486185 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის გეგმით. სამსახურის 08.02.2017წ. №3085622 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.02.2017 წ. №3085622 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.